


წელიწადი
პირველი



24 მარტს
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოლის ხუთზაბათობით

ხელის მოწმობა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასაღებოს წემოდ. №15 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გავ საწვინთ და გაუგ საწვინთად ... 6 მან. — თითო ნომერი — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოც საწვინთ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. ხვენი ქალაქის ჯანმრთელობის საქმე. — II. საქართველოს მატთანე; სხვა და სხვა ცნობანი — III. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი. — IV. საზოლიტიკო მიმოხილვა: აღმოსავლეთის საქმე ახალი რეისტრალის თაობაზე. — V. ორი ლექსი ... — VI. ცხოვრება და კანონი, წერილი მეოთხე. — VII. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის: დიდი ბრიტანია. — VIII. ქალაქის სცენები ერთის დღის აღწერისა სცენა 4 — IV. გაზეთებიდან ამოკრეული ამბები. — სა, X. განცხადება.

„ივერიის“ შემდეგი ნომერი, საუფლო დღეებისგამო ხუთშაბათის მაგივრად შაბათს, ორს აწრილს გამოვა.

ჩვენის ძალაქის ჯან-მრთელობის საჩხე.

ხვენი ქალაქის მცხოვრებთა ჯან-მრთელობის საქმე ხან მიგვეფარება ხოლმე თვალთვან და ხან ისევე გამოჰყოფს თავსა. აი ამ ქადადაც ხვენი შევიტეეთ, რომ ქალაქის საბჭოს (Дума) მოუსურვებია თურმე შეადგინოს კამისია, რომელსაც მინდობილ ექმნება კეთილ განწყობა ქალაქისა ჯან-მრთელობის შესახებ. ღმერთმა ჰქმნას, რომ მაგ კეთილმა სურვილმა, ხვეულებისამებრ, უქმად არ ჩაიაროს და ეგ ეოვლად საჭირო საქმე უწინდელგებ შორის არ გადიდვას. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ კამისიას ჯეოვანის დირსების წევრნი შეხვდნენ, მხენი, გულმოდგინენი და ნამეტნავად მცოდნენი. ეოველი ეს ამ კამისიისათვის მით უფრო საჭიროა, რომ ხვენი წარსულში იგი მისდა მინდობილის საქმის თაობაზედ

თითქმის ვერა ცნობას ვერ მოიპოვის. ამ საგანზედ ხვენი არა რაიმე წინ-სამზადისი მოღვაწეობა არა ვისა ჰქონია. თვით ხვენი „კავკასიის საექიმო საზოგადოებას“, რომლის მოვალეობაც სხვათა შორის ხვენი მხრის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მზრუნველობაა, თვით ამ საზოგადოებასაც ამ საქმეში თითქმის არავითარი დგაწლი არ მიუძღვის. თუ ოდესმე ამ „საზოგადოებაში“ ჩამოუგდია ვისმეს სიტუვა მასზედ, რომ ხვენი ქალაქში არის ზოგიერთი უმჯ სავსობა. რომელსაც სხეულება მოსდევს, ამ სიტუვას ისე მიჰსცვივებოდნენ ხოლმე მომეტებულნი წევრნი, თითქო დაუჯერებელს ზღაპარს იხმენენო. მაგალითებრ, ამცნრაწელიწადსწინადერთმა წევრმა, არა ექიმთაგანმა წარმოსთქვა, რომ მტკვრის წყალში ბევრი იმისთანა უწმინდურება ერევაო, რომელიც ჯან-მრთელობისათვის, თუ არ სავნებელი, სასარგებლო არ უნდა იეოსო. წევრთა-ექიმთა სიტუვა დაუწუნეს და უმასუნეს, რომ მისი შიში სრულიად უსაბუთაოა; რომ მტკვრის წყალი არამც თუ მავნებელია, არამედ ხალხში ნაქებია, როგორც მარგებელი წყალიო; რომ რადგანაც ჩქარი მდინარეობა აქვს, ამისათვის უწმინდურება მტკვრის წყალში დიდხანს არა რჩებაო და წყალსვე გააქვსო. როცა წინადადების შემტანმა ამის ზასუნად ის მიუგო, რომ წყალს სასმელად იქილამ კი არ იღებენო, საცა ჩქარი მდინარეობა აქვსო მტკვარსა, ესე იგი, შუა მდინარეიდან, არამედ ნაწირიდანაო, მაშინ ერთმა, რომ სიტუვა ვერაფრით მოუჭრა, ეს უთხრა: ხეში ხვეულებრივი გამოცდილება და თვალ-ეურის დევნა, მერწმუნეთ, ამტკიცებსო, რომ თქვენი შიში მეტიაო.” ამისთანაიცი იუვენ თურმე იმ საზოგადოებაში, რომელთაც ეთქვათ, რომ რა საკადრისია ხვენი სამცენიერო საზოგადოებისათვის

მაგ უბრალო საგანსედ მჯელობა გასწიოსო, მაგრამ სხვებმა იმოდენად ჰატოვი დასდეს ამ საგანსა, რომ თუ არაფერი ჰქმნეს, მასლაათი მაინც გასწიეს მტკვრის წყალის ავ-კარგიანობის თაობაზედ და ამით დაასრულეს საქმე.

ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოვიუვანეთ აქ, რომ გვეჩვენებინა რა იმედი უნდა ჰქონდეს კამმისიას ჩვენს წარსულზედა. საცა ამგვარს მსჯელობას, როგორც ზევითა ვჰსთქვით, მეცნიერთა კრებაში ადგილი ჰქონია, სხვისა რა უნდა ვიფიქროთ. მაგრამ ჩვენდა საკეთილოდ, ეოველივე წემოდ თქმული დიდი ხნის ამბავია. დღეს კი იგივე სასოგადოება უფრო მეტის თანაგრძნობით უეურებს ხალხის ჯან-მრთელობის საქმესა. შარშანდელის წლის დასასრულს მაგ სასოგადოებამ კვლავ მიაქცია თვისი ურადლება ჩვენის ქალაქის ვითარებას შესახებ ხალხის ჯან-მრთელობისა და იმ სასოგადოების გულმტკივნეულობა იქამდინაც მივიდა, რომ ძლიერ-ძლიობით დაინახა ჩვენის ქალაქის უძეჯავსო მდგომარეობა მცხოვრებთა ჯან-მრთელობისათვის. თვით მტკვრის უწმინდურება, და იმ უწმინდურების მანუება, რომელიც ცხრას წელიწადს წინად თითქმის სასაცილოდ ავდებულ იქმნა, ესლა საფიქრებელი და ღირს სამიებელი გაუხდათ. ერთის სიტყვით ჩვენის ქალაქის სიმრთელისათვის მსრუნავთა ამ მეცნიერის სასოგადოებიდამ ბევრი არა ფრის გამოტანა შეუძლიან, გარდა იმისა, რომ ქალაქის განწეობილება ამ მხრით ცუდს მდგომიარობაშია და ამ მდგომიარობის გამოცვლა საჭიროა. მაგრამ ქალაქის საბჭომ ეს ამბავი უამისოთაც კარვად იცოდნა. ამას ამტკიცებს წინად ხსენებულის კამმისიის შედგენის სურვილი. თუნდ ეგეც არ იეოს, კაცმა რომ თვალი დააკვირვოს ეოველ წლივ რამდენი კაცი უკვდება ქალაქსა, უტეუარად შეიტეობს ჩვენის ქალაქის ავ-კარგიანობის ვითარებას ჯან-მრთელობის შესახებ. უკანასკნელის აღწერთა ტფილისში 90,000 სულია. რიცხვთა შუა რომ ვიანგარიშოთ გამოვა, რომ ტფილისს, სამხედროთა გარდა, 2,500-დამ 2,700 კაცამდე მოქალაქე ეოველ წლივ ეხოცება, ასე რომ ათასს სულზედ ოცდა რვა, ოცდა ათი კაცი მოდის. ეს ცოტა არ არის, მით უფრო რომ ქალაქის ჰავა არავისგან ცნობილ არის ავის თვისების ჰავად. იმ ქვეყნებში, საცა ხალხის ჯან-მრთელობისათვის მსრუნეულობას დიდი ადგილი უჭირავს, მაგალითებრ ინგლისში, მიღებულია, რომ თუ ვინიცობაა რიცხვთა შუა ანგარიშით ათასში ოცდა სამს კაცზედ მეტი კვდება, ჰსჩანს ჯან-მრთელობის საქმე ცუდად არის მოწეობილი და გასწორება უნდაო.

წემოხსენებულის ანგარიშიდან ჰსჩანს, რომ ტფილისს ტეუილ უბრალოდ და დღე ნაკლულად ეხოცება ეოველ წლივ ოთხას ორმოცდა ათს კაციდამ ექვსას ოცდაათამდე, მაშინ როდესაც ქალაქის ჯან-მრთელობას რომ უკეთესი მსრუნეულობა ჰქონდეს ამოდენა ხალხს სიცოცხლე უდროოდროდ არ მოეხობოდა, ეს ხალხი ქალაქს შერჩებოდა და ამისგამო მწარმოებელი და მშრომელი ძალნი მეტი ექმნებოდნენ ქალაქის სიმდიდრისა და კეთილ დღეობისათვის. ეს ამოდენა უბედურობა, ეს ამოდენა ხალხის ტეუილ-უბრალოდ, უდროოდ დაკარგვა რომ ფულად ვაქციოთ და წარმოვიდგინოთ, რომ თვითვეულს კაცს წელიწადში ხუთის თუმნის სიმდიდრის შექმნა და მოხლება შეუძლიან, გამოვა, რომ ტფილისი ეოველ წლივ ჰკარგავს ორი ათას თუმნიდამ სამი ათას თუმანზედ მეტსა. წნეობითს გულმტკივნეულებას ავევებით, თუ ეკონომიურს ანგარიშსა, ორივეს მხრით ცხადია, რომ ქალაქის ჯან-მრთელობის საქმე იმისთანა საქმეა, რომელსაც დიდის ურადლების მიქცევა უნდა, გულმოდგინებით ხელის მოჭიდება, ერთის სიტყვით, ღირს რომ ამასზედ ქალაქის გამკეობამ თვისი შრომა და ღვაწლი დასდოს.

მიზეხნი ამოდენა ხალხის უბრალოდ დაღუპვისა და ღონისძიებანიცა ამა მიზეხთა მოსზობისათვის ნახვეუნნი არიან. ამას წინედ ექიმმა უფ. სოკოლოვმა კავკასიის საექიმო სასოგადოებაში წინადადება შეიტანა ქალაქის ჯან-მრთელობის თაობაზედ და სხვათა შორის სთქვა შემდეგი: „ამოდენა ხალხის ტეუილ-უბრალო, ადრეულა სიკვდილის მიზეხი ქალაქის შინავანი გარემოებანი არიან. მისი მოედნები და ბაზრები ასეთს უწმინდურებას წარმოვადგენენ, რომ საღი კაცი, რომელსაც კი უწმინდურების ხაროს ჰაერთ არ უცხოვრია, ისე ვერ გაივლის რომ ცხვირზე ხელი არ მოიჭიროს და სუნთქვა არ შეიკავოს. თვითონ მტკვარცნა, რომელიც დაქანებულს ფერდობებ შუა მომდინარეობს და რომელშიაც ამის გამო ხადის ქალაქის ეოველგვარი უწმინდურება, სასმელი წყალიც არის და, ერთსა და იმავე ღროს, უწმინდურების წამლებ-წამოდლებიცა. ძველს ქალაქში კიდევ ასეთი ვიწრო ქუჩებია, რომ კაცს ადვილად შეუძლიან ერთის ბანიდამ მეორეზედ გადახტომა და ამის გამო ჰაერი ასეთი დახშულიაო, რომ დიდს ქარშიაც ფოთოლი არ შეინძრევა.“ ეოველს ამ მიზეხების მოსასზობლად საჭიროაო, ჰსთქვა შემდეგ უფ. სოკოლოვმა, „ქალაქს სასმელი წყალი ბლომად და, ჯან-მრთელობის მიხედვით, წმინდა ჰქონდესო, უწმინდურების გასატანად არხები რიგიანის წესით გაიჭრასო, ქალაქი ერთობ ფაქიზად ინახებოდესო

და ჰაერის სამუშაოდ შენობათა შორის ფართობა იქონსო.“ ეს უოველი აუცილებლად საჭიროაო, რომ სნეულება და სიკვდილიანობა ერთობ შემცირდესო და თვით იმ ავით-მოფობას, რომელიც გარედამ წარმოსდგებაო, მომაკვდინებელი ძალა ცოტად თუ ბევრად მოაკლდესო. უფ. სოკოლოვის ანგარიშით, 1875 წელს ასს მკვდარში ორმოცი ეოფილა იმისთანა სნეულებისაგან (инфекционные болѣзни) მკვდარი, რომლის დასაბამი გარეგანი უწმინდურება არის, და 1876 წ., ექიმის უფ. ზელინსკის ანგარიშით, ორმოცდა ერთხედ მეტიცა (41,5%) ეოფილა. უფ. ზელინსკის თავის ახალს თხზულებაში (Общій обзоръ Санитарнаго состоянія и Судебно-бедиц. дѣят. въ Тиф. Губ за 1876 год), მოჰყავს, რომ, უეცარის სიკვდილით და სამკურნალეობში დახოცილით გარდა, ქალაქში 1876 წ. ორი ათას სამას ორმოცდა თოთხმეტი სული მომკვდარა. აქედამ მხოლოდ ათას ექვსი თავისის მიზეზით დახოცილა, ესე იგი, იმ მიზეზით, რომლის მოსზობაც კაცის ხელთ არ არის. ამის გამო უფ. ზელინსკი ამბობს: „მაშასადამე, ნახევარხედ მეტი წილი დახოცილითა უნდა მიეწიროს ქალაქის ცუდს განწყობილებასა ჯან-მრთელობის შესახებ, ესე იგი, მას რომ მიწა, წყალი, ჰაერი უწმინდურებისაგან წამხდარია და მავნებელი. ამავების მოსზობა კი შესაძლოა. ქალაქმა რომ კარგი წმინდა წყალი იქონიოს, რიგიანი და ნამდვილად გამოსაყენი არხები უწმინდურებისათვის, სიფართოე ჰაერის თავისუფლად მოძრაობისათვის, ქალაქში ძალიან შემცირდებაროე ორც სნეულება, ისეც სიკვდილიანობა გარედამ წარმომდგარის ავით-მოფობისაგან და ამ სახით ქალაქი დაისხნიდა რამდენიმე ასს კაცს ეოველ წლიე უდროო სიკვდილისაგან. ბოლოს უფ. ზელინსკი ამბობს: „არამც თუ მარტო უკულო ეკონომიური ანგარიში გვიწვევს საზოგადოების ეურადლება აღვძრათო და ხან დაუეოვნებლიე შეუდგეთ ქალაქის ჯანმრთელობის თადარიგსაო, არამედ ზნეობითი მოვალეობა იმ მცხოვრებთა წინაშე, რომელთ ოჯახსაც უღმობელის სიკვდილის ჯერი ხვდებაო.“

ამას ითხოვენ არამც თუ კერძო-კაცი და მისი გულის ტკივილი, არამედ ისინიცა, რომელნიც ჩვენის ქალაქის უთავ-ბოლო მოწყობილებისა გამო მსხვერწლს იხდიან, უბედურებაში ცვივიან, იტანჯებიან. წრფელის გულით ვიმედოვნებთ რომ ქალაქის გამგეობა ამ კაცთ-მოყვარეობის საქმეს რაკი შეუდგა ეოველს ღონეს იხმარებს, რათა დაწეებული საქმე დაავგირგვინოს კიდევ თავის სასახელოდ და ჩვენის ქალაქის მცხოვრებთა სამადლოდ.

საქართველოს მატრიანე

სახელმწიფო შემოსავალი ამიერ-კავკასიისა.

ამ უკანასკნელს ხუთს წელიწადში ამიერ კავკასიის შემოსავალმა მოიმატა ერთი მილიონი ორის ერთი ათას ოთხას ოცდა ათი მანეთი (1, 201, 430).

1871 წლის შემოსავალი იყო 5,064,395 მანეთი. ამათ შორის შემოვიდა: *)

ფოტის ფული და მანტა	-----	1,449,557 მ.
სასმელთა ბაჟისა	-----	459,252 —
მარილისა და შაბისა	-----	253,137 —
დამოკნისა	-----	1,422,345 —
საიჯაროდ გაცემულის მამულებისა	---	441,607 —
სახელმწიფო ტეისა	-----	96,878 —
ღერბის ქალაღდისა	-----	159,974 —

1872 წლის შემოსევალი იყო: 5,6000,843 მანეთი.

ამათ შორის შემოვიდა:

ფოტის ფული და მანტა	-----	1,579,789 —
სასმელთა ბაჟისა	-----	483,792 —
მარილისა და შაბისა	-----	228,807 —
დამოკნისა	-----	1,659,387 —
საიჯაროდ გაცემულის მამულებისა	---	647,974 —
სახელმწიფო ტეისა	-----	128,174 —
ღერბის ქალაღდისა	-----	204,033 —

1873 წლის შემოსავალი იყო: 5, 727, 179 მანეთი.

ამათ შორის შემოვიდა:

ფოტის ფული და მანტა	-----	1,597,192 —
სასმელთა ბაჟი	-----	639,259 —
ნავთისა	-----	211,952 }..)
თამბაქოსი	-----	162,893 }
მარილისა და შაბისა	-----	177,603 —
დამოკნისა	-----	1,348,635 —
საიჯაროდ გაცემულის მამულებისა	---	534,989 —
სახელმწიფო ტეისა	-----	125,064 —
ღერბის ქალაღდისა	-----	204,303 —

1874 წლის შემოსავალი იყო: 6, 141, 761 მანეთი.

ამათ შორის შემოვიდა:

ფოტის ფული და მანტა	-----	1,651,607 —
სასმელთა ბაჟისა	-----	790,891 —
ნავთისა	-----	292,974 —

*) ეოველის წლის შემოსავალი ტაზკენებთ მხოლოდ. შესანიშნავს საჯანოვან შემოსავლსა.

**) ამ ორის საჯანის შემოსავალი ბიზკულს ორ წელიწადში არ ეოო.

თამბაქოსი -----	403,699	–
მარილისა და შაბისა -----	228,807	–
დამოყენისა -----	1,280,409	–
საიჯარო მამულებისა -----	520,779	–
სახელმწიფო ტყისა -----	134,030	–
ღვრბის ქაღალდისა -----	170,980	–
1875 წლის შემოსავალი იყო 6, 265, 825 მანეთი.		
ამათ შორის შემოვიდა:		
ფოქტის ფული და მანტა -----	1,934,218	–
სასმელთა ბაჟისა -----	684,861	–
ნავთისა -----	191,061	–
თამბაქოსი -----	421,967	–
მარილისა და შაბისა -----	107,334	–
დამოყენისა -----	1,188,088	–
საიჯარო მამულებისა -----	592,600	–
სახელმწიფო ტყისა -----	128,400	–
ღვრბის ქაღალდისა -----	222,376	–

როგორც მოგეხსენებათ, ტფილისის საოცტატო ინსტიტუტთან ერთად არსებობს საქალაქო სასწავლებელიცა, რომელშიაც მხოლოდ ესლახან დაწვებინეს ქართულის სწავლა. ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ სასწავლებელში ქართულის ენის სწავლა მიუხდვიათ შემოხსენებულის ინსტიტუტის მოწაფეთათვის, რომელთაც ქართული არ უსწავლიათ, რადგანაც არ უსწავლებიათ, იმიტომ-რომ ქართული ენის სწავლება ამ ინსტიტუტში მიღებული არ არის. მოწაფენი ჩივიან თურმე, ჩვენთვის რომ ქართული არა ვის უსწავლებია, ჩვენ სხვას როგორღა უნდა ვასწავლოთო. გულისხმიერს უფროსს უკვირს თურმე ეს ჩივილი და ეუბნება: ქართველები ხართო, საქართველოში დაბადებულნიო და როგორ არ შეგიძლიანთ ქართულის ენის სწავლებაო! აი დამჯდარის ჭკუის ზასუნი? რუსეთში რომ ვისაც არა მგონია წაავლოს ხელი კაცმა და უთხრას: რუსი ხარ და რუსულის ენის სწავლება გეცოდინებაო, მადი იოსტატო, ნეტა გვითხრან – მაძინ მოწაფე ვინდა იქნება?

Тифлисскiй Вѣстникъ-ში № 61 მოხსენებულია, რომ ადგილ-მამულის გამიჯნავებისათვის დაწესებულს სასამართლოსაო ახალი ცვლილება მოეღოსო. ეს ცვლილება იმაზედ არის მიმართულიო, რომ მომქმედნი ზირნი მოუმატონო, გამიჯნავების სასამართლოს წევრნი გაანთავისუფლონო იმა შრომისაგან, რომელიც მათ ზირ-და-ზირს დანიშნულებას არ შეესაბამებაო და ზედა-მხედველობა გამიჯნავების საქმეთა წარმოებისათვის უფრო რივიანი და განმდიერებული მიღებული იქმნასო. ბოლოსვე Тифлисскiй Вѣстникъ-ი ამბობს, რომ

მეტად ნაკლებს ჯამაჯირებს მიწის მზომელთათვის (Землемѣры) დანიშნულსა აქამოდე ის შედევი ჰქონდაო, რომ ბევრს მათგანს აიძულებდაო სხვაგან სამსახურში გადასულიყო და შესწავლულის ხელობისათვის თავი დაეხებებინაო.

სინარულით მივეგებით ამ ცვლილებას, რომელიც გამიჯნავების, ამ მეტად საჭიროს საქმის, აჩქარებას გვიქადის. ამასთანავე სასურველია, რომ ამ ცვლილებაში დავიწუებულ არ იქმნას ის ეკონომიური ზოგადი კანონი, რომ რამოდენადაც ჯაფის-ფასი მცირეაო, იმოდენადაც თვითონ ჯაფაც სუსტიაო.

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი

უწეალო სიუვარულო, რად მკოდე ესდენ მხელად?
 რისთვისა მჭეავ მღერალი საუკუნოდ მკენესელად?
 რად მაჩვენე შვენება გულის დასატყვევენელად,
 სახე სხვათა სახეთა შობილი დამხაგვრელად?
 ვიცი, – მისი იხმარენ მშვილდი ჩემად საწულველად
 და ჰინდელნი ღესულნი საკედად, განსაისრველად.

უწეალო სიუვარულო, რად მკოდე ესდენ მხელად?
 რისთვისა მჭეავ მღერალი საუკუნოდ მკენესელად?
 გრძნეულთა მათ მახვილთა ესე რა ჰსჭირვებიან,
 ეოვლნი მათგან კოდვილნი მათვე ემჭჭვალვებიან;
 გული მიწედეს, გრძნობანიც სრულიად მათკენ ჰრბიან,
 ეს ზომად ჰსწუერთ სიანლვე, რაზომთაც ივნებიან,
 თვით გონებაც მათ მისდევს, ვაი რჩომილსა ხელად!

უწეალო სიუვარულო, რად მკოდე ესდენ მხელად?
 რისთვისა მჭეავ მღერალი საუკუნოდ მკენესელად?
 მათ მოსისხლეთა ჩემთა ოდეს განვიცდი თვალთ,
 მიზიდულ ვარ მათდამი უხილავითა ძალით,
 ხან აღმიტაცებს თრთოლა, ხან შმაგი ცნობა მთვრალი?
 უძრავად ვდუმარობ და ვიწვი წვლილის ალით,
 ოხვრალა მაქვს სიცოცხლის ნიშნად, შესამცნეველად.

უწეალო სიუვარულო, რად მკოდე ესდენ მხელად?
 რისთვისა მჭეავ მღერალი საუკუნოდ მკენესელად?
 ოდეს ვჰმორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების,
 სოფელი მხანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრების;
 ვჰრბი და მჰსდევენ დასები სევდის და მწუხარების;
 მასვე საგანს ვეძიებ, გარნა რა ვერსად მხვდების;
 სულთქმა ჰქუნს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემექმნების ბნელად.

უწეალო სიუვარულო, რად მკოდე ესდენ მხელად?
 რისთვისა მჭეავ მღერალი საუკუნოდ მკენესელად?

ბედნიერნი ჰბუკნო, თუ გუდასთ მრთლად დაცვა გუღთა, ეგრძაღენით ვარდთ ზამბახთ, საროხედ აღსარდულთა; თვარა თვალთაჲე თქვენთა, მათ მიერ მიხიდულთა, ძალ-უძსთ მონად ქმნა თქვენი ვითა ტყვედ მისეიდულთა; ვერღა გკურნოსთ ჩივილმან, გინა ჰსნდეთ ჩემებრ მთქმელად!

უწყალო სიუვარულო, რად მკოდე ესდენ ძნელად? რისთვისა მჰყავ ძღერალი საუკუნოდ მკვნესელად?

უ ც ხ ო ე თ ი

საკოლიტიკო მიმოხილვა. – სტამბოლის

კონფერენცია რომ დაიძალა, ევროპის საზოგადოება დიდის მოუთმენლობით მოელოდა, თუ რა გზას დაადგებიან ეხლა უპირატესნი სახელმწიფოინი, იმისთანას რას მოიგონებენ, რომ, ერთის მხრით, საყოველთაო მშვიდობიანობა არ დაირღვას და, მეორეს მხრით, მათს ჰატოსნებას და ღირსებას არაფერი არ მოეცნოს, რადგანაც კონფერენციის ეგრე უნაყოფოდ დაშლას ცოტად თუ ბევრად სირცხვილი მოსდევდა ეველასათვის. თქმა აღარ უნდა, რომ დიპლომატიას მარტო ეს ორი საგანი აწუხებდა. ინგლისის მინისტრმა აკი აღიარა კიდევ ჰარლამენტში, რომ სლავიანთა ბედის გასწორებასა მცირე მნიშვნელობა აქვსო აღმოსავლეთის საქმეში; უპირატესი და უადრესი საგანი ამა საქმისა ოსმალეთის დაურღვეველობა არისო. თუ ოსმალეთი დაიძლებოდა, ამას მოჰყვება საშინელი არეულობაო. რადგანაც ამ უკანასკნელს საგანზედ სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის თანხმობა შეუძლებელი იყო, დიპლომატიამ განიზრახა თავი დაესწია ამ რთულისა და ძნელის საქმიდამ ასე რომ მშვიდობიანობაც არ დაერღვია და თავისი ღირსებაც არ დაემხო. ამიტომაც ჩვენ საბუთი გვაქვს ვჰსთქვათ, რომ ევროპის დიპლომატიას კონფერენციის დაშლის შემდეგ მარტო ამ ორ ნაირის სურვილის აღსრულების სრუწვალა ჰქონდა.

ამ შემთხვევის გამო ევროპის საზოგადოებას დიდი ლოდინი ჰქონდა ინგლისის ჰარლამენტისა, რომელიც 8 თებერვალს უნდა შეერილიყო, – ეველა ამას ჰთუქრობდა: აბა ვნახოთ რას იტყვის ახლა ინგლისი, რომლის თაოსნობითაც გაიმართაო კონფერენცია და რომელიც ისე გაცნარებით სცდილობდა დაცვა ოსმალეთის ერთობაო. გარდა ამისა, ახლად შეერილს ჰარლამენტს ინგლისისას სხვაფრივაც დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. ეველასთვის ცხადი იყო, რომ ინგლისის მთავრობა ცოტად თუ ბევრად, მხარს აძლეოდა ოსმალეთის სახელმწიფოს და სლავიანებისა კი ბევრი არა ენადღელებოდა რა. ამ რიგი საქციელი

მთავრობისა სრულებით არ მოსწონდა ინგლისის მთელს საზოგადოებას თუ არა, მის შესანიშნავს ნაწილს მაინც. ეს ნაწილი დიდად თანაუგრძნობდა სლავიანებს და წამ და უწუმ ისმოდა ინგლისიდგან, რომ ამა და ამ ალაგას დიდ-ძალი ხალხი შეიყარაო და თავისი გულ-წრფელი სამდურავი გამოუცხადა მთავრობასაო. ერთის სიტყვით ინგლისის საზოგადოების აზრი და მთავრობის მიმართულება ისეთ ნაირად შორის შორს იეგნენ ერთმანერთზედ ამ შემთხვევაში, რომ ეველა დიდს განხეთქილებას მოელოდა მათ შორის რა წამსაც შეიკრიბებოდა ჰარლამენტი. ეველა დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის პოლიტიკა სრულებით გამოიცვლებოდა და აწმყო კაბინეთი უსათუოდ გადადგებოდა, რადგანაც ინგლისში საზოგადოების ხმას დიდი ძალი და გავლენა აქვს, ვიდრე სხვა სახელმწიფოში სადმე.

ამ იმედმა, ცოტად თუ ბევრად, ამაოდ ჩაიარა. თუმცა ბევრი მთავრობის წინააღმდეგი სიტყვა წარმოითქვა ჰარლამენტში, მაგრამ არც სამინისტრო გადადგა და არც არა ვითარი შესანიშნავი ცვლილება არ დაეტეო ინგლისის პოლიტიკასა. „ძალიან სამწუხაროაო“, სამეფო სიტყვით (тронная рѣчь) წარმოთქმულ იქმნა, „რომ კონფერენციამ ფუჭად ჩაიარაო, მაგრამ ჩვენდა სახუგემოდ ამ კონფერენციას ერთი სასიამოვნო შედეგი მოჰყვაო: მან ცხადად გვიჩვენაო რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის თანხმობა და ერთ გვარი სურვილი სუფუესო. იმედი ვიქონიოთო, რომ ეს თანხმობა შემდეგშიც არ დაირღვევაო.

ჯერ ჰარლამენტი არ შეერილიყო როდესაც რუსეთმა წარუდგინა ევროპის სახელმწიფოებს და, სხვათა შორის, ინგლისსაც, წინადადება და ჰსთხოვა გამოეცხადათ მათ, რას აპირობენ შემდეგში, როგორ ჰსურთ მოექცნენ ოსმალეთს კონფერენციის დაშლის შემდეგ. ინგლისის სამეფო სიტყვაში ამ წინადადებისა ხსენებაც არ იყო. ამასობაში გავარდა ხმა რომ ოსმალეთი ერთის წლის ვადას თხოულობსო და პირებული ცვლილებების აღსრულებაში მოეგანისათვისაო და ინგლისიც სცდილობსო ამ თხოვნას ჯეროვანი ურადლება მიეცესო.

შემდეგ, როდესაც რუსეთის ზემოხსენებულმა წინადადებას უნაყოფოდ ჩაიარა, რუსეთმა მიანდო თავისის განზრახვის უფრო მტკიცედ აღსრულება ღენერალს იგნატიევს, რუსეთის ელჩს ოსმალეთის წინაშე. ღენერალი იგნატიევი უნდა წასულიყო ბერლინსა, ვენასა და ჰარიჰში. ეს თანამდებობა ღენერალ იგნატიევისა ჯერაც არ შესრულებულა. რუსეთმა ღენერალ იგნატიევის პირით შეუთვალა სხვა სახელმწიფოებს შემდეგი წინადადება: ევროპამ ხელმეორედ მტკიცედ უნდა წარუდგინოს ოსმალეთს კონფერენციის განახენიო. ამ განახენს ორში ერთი

სახე უნდა მიეცეს: ან ექვსმა უპირატესმა სახელმწიფომ უნდა, ერთმანერთის ხელშეკრულებით, დაადგინონ სიგელი (протокол), რომლის ძალითაც ევროპამ უნდა გამოუცხადოს ოსმალეთს თავისი გადაწყვეტილი სურვილი იმა ცვლილებათა აღსრულების შესახებ, რომელნიც წარდგენილნი იუვენენ კონფერენციის მიერ: ან არა და, ევროპამ უნდა ჩამოართოს ოსმალეთს ხელწერილი, რომ იგი უსათუოდ მოახდენს კონფერენციის მიერ წარდგენილს ცვლილებასა. ამ ორივე შემთხვევაში, ოსმალეთს უნდა მიეცეს მხოლოდ ექვსი კვირის ან ორი თვის ვადა, რომლის განმავლობაში მან უნდა აასრულოს ევროპის ნება, – და ბოლოს თუ ოსმალეთი ამ ვადაზედ ევროპის ნებას არ აღასრულებს, მაშინ ევროპის სახელმწიფოანი თუძცა ვაღდებულ არ იქმნებიან საერთოდ რაიმე ძალა და იარაღი იხმარონ ოსმალეთზედ, მაგრამ კი თუ რომელიმე სახელმწიფო ცალკე ომს გამოუცხადებს ოსმალეთსა, არც ერთმა სხვა სახელმწიფომ არ უნდა დააბრკოლოს. აი რაში მდგომარეობს ის წინადადება, რომელიც ღენერალ იგნატიევის ზირით რუსეთმა ევროპას შეუთვალა და რომლის ზასუნსაც ამჟამად მოუღიან. სიგელზედ ხელის მოწერის შესახებ ინგლისი ეოქმანობს და ჯერჯერობით საქმე ამასზედ არის შემდგარი.

რაც შეეხება სლავიანებს, აი რას იწერება ერთის რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი: „როგორცა ჰსჩანს, ჰერცოგოვინაში და ბოსნიაში ოსმალეებმა ხელმეორედ დაიწყეს ქრისტიანების ღვენა და ტანჯვა. აქაოდა გავიმარჯვნიოდა სლავიანები დავაძარცხეთო ეხლა თავის ჯავრს ქრისტიანებზედ იურიან და უდიერად ეკიდებიან თუძცა ოსმალეთის სახელმწიფოში თავისუფლობაც გამოცხადებულია, თანასწორობაც და კონსტიტუციაც, მაგრამ სლავიანები, მეტადრე ბოსნიის დარბიბი მასრები საშინელ ტანჯვაში არიან.“ შემდეგ, ამის დასამტკიცებლად კორრესპონდენტს მრავალი მაგალითი მოჰყავს. აბა ახლა შეადარეთ ერთმანერთს ის დიპლომატიის უქმი გულის ტკივილი და ეს ნამდვილი ოხვრა და კვნესა ხალხისა. თითქმის ორი წელიწადია მას აქეთ რაც სლავიანები გადუღუნენ ოსმალეთს: ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს, ბევრი სისხლი და ცრემლი დაიღვარა, მაგრამ სლავიანების მდგომარეობა კი იგივეა. –

– ეს წელიწადი ძალიან შესანიშნავი იქმნება გერმანიისათვის. ახლად ამორჩეულმა რეისტადმა *) დიდად ჩააფიქრა მთავრობა, რადგანაც მის წევრთა შორის იმ რიგი კაცები ამოურჩევიათ,

*) ხალხი რეისტადის წევრთა შორის მისი ვადით იჩიქეს. უკანასკნელად რეისტადი ამოჩიქულით 1874 წელს, მასხადამე წრეულ ტაუთავა მას ვადა და იანკარში ხელახლად აჩიქეს მისდა.

რომელნიც ეოველთვის მთავრობის მომდურაენი და წინააღმდეგნი ეოფილან და არიან კიდევ. ახალმა რეისტადმა ცხადად დაუძტკიცა მთავრობას, რომ იმ დასსა, რომელსაც ეკუთვნიან ეს ახლად აღმორჩეულნი მოწინააღმდეგენი, უკანასკნელ სამ ოთხ წელიწადში ძალიან ფეხი გაუდგამს ხალხში, თანაგრძნობა მოუპოვებია და გავრცელებულია. ამის შიში იმ სამეუფო სიტუვასაც დაეტეო, რომელიც იმპერატორმა ჩეუულებისა მებრ წარმოხტევა რეისტადის ზირველს ერილობაში, 10-ს თებერვალსა. აი რა სტევა მან სხვათაშორის: „მართალია, ჩვენი ეკონომიური მოძრაობა ცოტად მიძინებულა. ბევრნი ამის მიხეხს ეძებენ იმ გარემოებაში, ვითომ ჩვენი შინაგანი კანონიერი განწყობილება მკვიდრი არ არისო. მაგრამ, ვკონებ, თქვენც იმ აზრისა უნდა იეოთ, რომ ამას არა ვითარი საბუთი არა აქვს. იმპერიის განწყობილება და გერმანიის ხალხის კეთილ-გონიერება დიდძალი სიმაგრეა აღმშეოთველობის მიდრეკილების წინაშე, რომელსაც კი განზრახვათ აქვს შეარეიოს ჩვენი წესდებულებანი და გზა გადუღობოს მართებულს განვითარებას ჩვენის ცხოვრებისასა. ეს „აღმშეოთველობის მიდრეკილება“ ნათქვამია იმ დასზედ რომელმაც გავზავნა რეისტადში ათიოდე სოციალ-დემოკრატი სოციალ-დემოკრატიის წეობის კაცი თერთმეტია მთელს რეისტადში, სადაც სულ სამას ოთხმოცდა ჩვიდმეტი წევრია. მამ ძალიან საშიში კაცები ეოფილან ეს სოციალ-დემოკრატები, თუ კი ათიოდამ კაცმა შეაწუხა და ჩააფიქრა თვითონ იმპერატორიცა. ვეცდებით რამდენიმე სიტევით აუხსნათ მკითხველს ამ დასის გულის წადილი და რწმენა.

ამოდენა ხანია სუფევს კაცობრიობა, ამდენი საუკუნე გაუტარებია მას ისტორიაში, ამდენი შრომა გაუწევია ადამიანის ჰეუას და გონებას, ამოდენად წინ წამდგარია მეცნიერება და განათლება, მაგრამ კაცობრიობის უძრავლესს ნაწილს კი არა ეშველება რა. იგი შედარებით, იმავე სიღარიბეშია, იმავე ტანჯვაში და ვაი-ვაგლახშია, როგორც ათასის წლის წინედ იეო. რა არის ამის მიხეხი? რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ ძირიანად ამოვლიჯოს ეს სატეივარი და ეველას თანასწორი ბედნიერება მიეცეს? ცხოვრების დაკვირვება უჩვენებს სოციალ-დემოკრატებს, რომ ეოველ უბედურობის მიხეხი საზოგადო ცხოვრებაში ეკონომიური უთანასწორობააო. ეკონომიურის მხრით კაცობრიობა განიეოფებაო ორ ნაწილად: ერთს, უძრავლეს ნაწილს, დაშთენია მხოლოდ შრომა, მეორეს (უძციოებს) – სამუშაო მასხალა და

იარაღიო. ეს ორი დონე, ერთ გვარად-აუცილებელნი ეკონომიურის წარმოებისათვის, ერთი ერთმანეთს შედ დაშორებულნი და მტრად გადაკიდებულნი არიანო, ეს განხეთქილება არისო ძირეული, თავდაპირველი მიზეზი საზოგადო უბედურებისაო. ამ განხეთქილებას მოსდევს ის შეურეველი, ლახსალის სიტყვით, რკინის კანონი ეხლანდელ ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: რაც უნდა ბევრი იშრომოს, მუშა-კაცი იმაზედ მეტს ვერ მოიგებს, რაც საჭიროა მარტო მისის სხეულის უპირველესის მოთხოვნილებებისათვის, ე. ი. რაც საჭიროა იმისთვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს. მაშასადამე, უკეთესი და უმთავრესი ღვაწლი საზოგადოებისა იმაზედ უნდა მიიმართოს, რომ მოიხმოს ეს ძირეული მიზეზიო, მოიხმოს ეს შრომის და ქონების შორის განხეთქილება და ამ ორთა ეკონომიურ კავშირთა შორის თანასწორობა და მორიგება ჩამოაგდოსო. ამისათვის მუშა ხალხს უნდა მიეცეს შრომისათვის საკუთარი ქონება, რომ თვით მუშაც იყოს და მუშაობის ნაყოფის ჰატრონიცაო; რომ ეოველი ნაყოფი მისის ნაწარმოებისა განუყოფელად მასვე მოხმარდესო და ამით თავდასხნილი იყოს იმათგანა, რომელთა ხელშიაც ამ ქამად ქონება მოგროვებულა და გროვდება კიდევ იმავე მუშა-ხალხის მეოხებითაო. თვით მუშა-ხალხი ამას ვერ იქმსო. თუ ამისთანა წეობა იქნებაო. ამისგამო მას გარედამ შემწეობა რაიმე უნდა მიეცესო, ვისგან უნდა მოველოდეთ ამ შემწეობასაო? ვისა აქვს ამოდენა სახსარი და ღონე, რომ ეგ შემწეობა იკისროს და მავ შემწეობის თანამდები იყოსო? სხვას არავის, თუ არ თვით სახელწიფოს, თუ არ თვით მთავრობასაო. ხოლო რადგანც აწინდელი წეობილება მხოლოდ ქონების ჰატრონიტათვის არის სასეიროო და თვით მთავრობის წევრნიც ამათგანივე არიანო, ამიტომაც ეხლანდელს მთავრობაზედ იმედი არ უნდა გუქონდესო, ვიდრე თვით მუშა-ხალხი არ მოიპოებს ჰოლიტიკურს ძალასა, ვიდრე თვით მუშა – ხალხს თავისი საჭიროების წარმომადგენელი მთავრობაში არ ეყოლებაო. ვიდრე თვით მუშა ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას კანონ – მდებლობასა და მმართველობაშიო, მას აწინდელი მთავრობა ხელს არ მოუმართავსო. მაშასადამე, მუშა ხალხის ეოველივე მეცადინეობა იმაზე უნდა იყოსო მიქცეული, რომ მთავრობითი უფლება და ხმა შეიძინოსო, ე. ი. კანონთ-მდებელს ზალატასა და რეინსტალში თავისი გულშემატკივარი წარმომადგენელი უნდა გაგზავნოსო რაც შეიძლება ბლომათაო, რომ ამით მოახდინოს სახელმწიფოში თვისი სანატრელი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცვლილებაო.

აი ამ აზრისანი და მოძღვრებისანი არიან ის

თერთმეტი დეპუტატი, რომელთაც ისე გადაჰკრა სიტუვა გერმანიის იმპერატორმა და რომელთაც ცოტად, თუ ბევრად ჩააფიქრეს აწინდელი მისი მთავრობა. „ცვლილება არის სამწესნარო ბედნიერთათვის, ბედურული კი მას სინარულით მიეგებიანო“, ამბობს გულთა მხილავი შექსნირი.

მართლა და სოციალ-დემოკრატის დასმა ძალიან ფეხი გაიდგა გერმანიაში ამ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადსა. მაგალითებრ, ბერლინში 1874 წ. მხოლოდ 13,000 ამომრჩეველი იყო, რომელიც ამ დასს ეკუთვნოდა წრეულს კი ეს რიცხვი 34,000-მდინ ავიდა. ბერლინი ექვს დეპუტატს გზავნის რეინსტალში. ამ ექვსიდან წელს ახალ რეინსტალში ორი სოციალ-დემოკრატია. აქედამ ჰსჩანს, რომ გერმანიის იმპერიის სატანტო ქალაქს ამომრჩეველთა რიცხვის მესამედი ნაწილი სოციალ-დემოკრატის დასისა არის. აბა როგორ არ ჩაფიქრდეს ამაზედ ბისმარკი, ანუ თვით გერმანიის იმპერატორი?

ამ ბოლოს დროს კიდევ ერთმა გარემოებამ ბისმარკს მოსვენება დაუფთხო. მარშან დაწესდა, რომ მთელ გერმანიაში სამსჯავრო კანონები ერთგვარნი უნდა იყვნენ და მათს მოქედებისათვის ერთგვარნივე სამსჯავრო სასამართლოები უნდა დაწესდესო ეველა ნაწილებში. ხოლო ამ სასამართლოების უმაღლეს ერთი სასამართლო უნდა ჰქონდეს მთელს გერმანიასა საერთოდო. წრეულ ჩამოვარდა ლაზარაკი მასზედ თუ სად უნდა იმყოფებოდეს ეს უმაღლესი სასამართლო? ჰრუსიას რასაკვირველია უნდოდა რომ ბერლინში ეოფილიყო (ბურთი და მოედანი გერმანიისა ხომ ჰრუსიისა და ბისმარკისაა), მოზავეთა საბჭომ კი გადაწვეტიტა რომ ეს სასამართლო ლეიბცილში უნდა იყოსო. რეინსტალმაც იგივე გადაწვეტიტალება მიიღო. ეს სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი ჯილდოა ბისმარკისათვის. ვინ იცის? იქნება ეს დასაწეისია დასასრულისა!.. ნუ თუ გერმანიის შეერთებულს იმპერიას ამით მომავალმა რაღაც ანიშნა?

– ეს მიმოხილვა, დაწერილი იყო, როდესაც მოვიდა ჰარიტიდამ ამბავი, რომ ინგლისს რუსეთის წინადადება მიუღია, ღენერალ იგნატიევის წინადადების სიგელზედ თანახმობა გამოუცხადებია და როგორც თვით ინგლისს ისე გერმანიას, საფრანგეთსა, ავსტრი-ვენგრიას და იტალიას თანმობის ნიშნად ხელიც მოუწერიათ. მხოლოდ ამ სიგელში, როგორც იწერებიან, არც ორი თვის ვადაა დანიშნული, არც არაფერია მოხსენებული რუსისა და ოსმალის ჯარის დაშლის შესახებ.

კ. ბ. მ — სას.

ნუ, ნუ ძაუვედრი, რომ ეოველს ჩემგანს ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას, რომ უარ-ვჭყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის სულის სიდაბლეს, შხამსა მტრობისას...

მე კაცთ სიკეთის მსურვალე რწმენა ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა; გული თრობილი მის წმინდა მადლით ჭკუის ცივს თათბირს ეურჩებოდა.

ნუ მეუბნები, რომ იგი იყო უგუნურება და ცდომილება... ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს, ვიდრე უცდომი გამოცდილება!

დაუკარგე იგი!... აწ მის დამკარგავს უმადლ, უნუგემ მივის-და გული; უმისოდ გული ცივია, ბნელი ვითა სადღური გაუქმებული.

ნეტა მას ვისაციმ რწმენის შუქი ერთხელ მაინცა გულსა ჰფენია! უფრო ნეტა მას ვისც საძარემდე გულით რწმენილი გულსვე ჰმთენია!

ნუ, ნუ ძაუვედრი, რომ ეოველს ჩემგანს ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას, რომ უარ-ვჭყოფდი ჩემთ მეძმეთ შორის სულის სიდაბლეს, შხამსა მტრობისას!...

* * *

ცნოვრება და კანონი.

წერილი მეოთხე.

1865 წელსა დამტკიცებულ იქმნა და აღსრულება-შიაც მოვიდა სასოფლო მმართველობის წესდებულება. ვიდრე გავარჩევთ მას თუ რამოდენად მოუხდა იგი ჩვენს ცნოვრებასა, რამოდენად აღგვისრულა მასწედ დანდობილი იმედი, არ იქმნება მეტი, რაც შეიძლება მოკლედ, გამოვსთქვათ ზოგიერთი აზრი შინაგანს მმართველობაზედ (внутреннее управление) საზოგადოდ.

ეოველი სახელმწიფო, რივიანს წესწედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაეოფილი, რომ მოვლა და ზატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ რუსის იმპერია დაეოფილია გუბერნიებთ, გუბერნიები მანრებათ, მანრები სოფლის საზოგადოებთ. ეოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარებაა: ერთი მთელის სახელმწიფოის საჭიროებისა და მეორე საზოგადოებისა. ეს ორივე გვარი საჭიროება ეოველს ნაწილში მომდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებათ, რამოდენადც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებთა, განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითეოველს მის ნაწილში ამ ორ გვარის საჭიროების მზრუნველობა და გამკეობა საჭირო არის. ეგ მზრუნველობა და გამკეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ეოველის მმართველობისა.

ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორ გვარი წეობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იეოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც ეველგან და ეოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ეოველ გვარის საქმის დამწეობი და მოთავეა, ეოველგვარის საქმის მწარმოებელია, ეოველის მზრუნველი და გამკეა, ასე რომ ეოველივე მისგან წარმოსდგება და ეოველივე მასვე ერთვის. ამ გვარად გამკეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰვეანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააეენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან ზასუხის მგებენნი. ამ გვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე გვარი მმართველობა ივია, საცა მთავრობას ხელთ უჭერია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ეოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ეოველს ნაწილს თვისი ადგილობრივი საქმენი აქვსთ ხელ შეუვალათ მინდობილნი. ეს საზოგადოებას საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიკებინან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინამე მასუნის-მგებელნი არიან. ამ გვარს გამკეობას თვით-მმართველობას (самоуправление, децентрализация) უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითვეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოსა თავის საკუთარს საქმეს თვით მმართველობას, თვით უვლის და თვით მმართველობას. ერთის სიტყვით ამ გვარის მმართველობის დედა-აზრი ივია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიკებოდეს.

ამ გვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილ დღეობას; ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უსხნის, რადგანაც საზოგადო მსრუხელობისათვის ხალხის უღვიძებებს და საზოგადო საქმისათვის მსწურთნის და ავარჯიშებს. ამ გვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ეველგან და ეოველს ხალხში იხიერებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ეველგან ცხოვრება ადამიანისა აუკავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამკეობისა შეუმსუბუქებია, აუსხნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვით-მმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ეოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ეველგან ხირობს: ინგლისშიაც, საცა დიდ-კაცობაა (аристократія) ეოველის წეობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვა-კუთხედათა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა მატარა ქვეყანა, როგორც შვეიცარია (739 ოთხ-კუთ. მილია) და იქაც, საცა იმისთანა უხარ-მანარი უღაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილად განწეობილი და შეთვისებულია საცა იმისთანა სახელეოვანი განათლება, როგორც ლონდონში და იქაც, საცა იმისთანა ველური ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კალონიებში.“

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვით-მმართველობას

ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰქავს; ბევრს უფრთხობს ტუილ-უბრალოდ მილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიო საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს; აურწაურს მოჰყვება, თავს გაიწვიადებს და მორჩილებიდან გამოვალ.

როცა მრუსიამ წართვა საფრანგეთს ელხასი და ლოტარინგია და მარლანტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ თუ რა გვარი მმართველობა მიეცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა მსთქვა: „ჩვენი საქმე ელხასსა და ლოტარინგიაში თვით-მმართველობის განმდიერება უნდა იქოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებთაგან უფრო უკედ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე მრუსიის მოხელეთაგან (чиновники). ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაეყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განსწავსასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გავაწვებენ, ვიდრე ჩვენივე მრუსიის მოხელენი.“

თუ იმისთანა კაცი როგორც ბისმარკი, რომელიც თავის-უფლების დიდი მომხრე მანინა და მანინა არ არის, ასე იღწეოდა, თვით-მმართველობისათვის, — მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რეინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას თუ არ თვით-მმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვით-მმართველობის დადგენისათვის ეველანზედ მხელი იმ ზომის მონაა, რომელითაც საერთო სახელმწიფო საჭიროებისა საქმენი მიეწამება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა და საზოგადოებრივი კი ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის სახლვარის მონაა მხელია, იმიტომ-რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან თუ ეოველსფერში არა, ბევრში მანინა. მაგრამ თვით-მმართველობის საქმებრად ეს კი უნდა ვმსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მანინა არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს, მთავრობას გარდამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი. ღირსება და სიკეთე მინაგნის მმართველობისა ჯერ იმანზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათდამი კუთვნილთა

საქმეთა გამგეობა და, თუ განაწილებულია, როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი, ეოველივე შინაგანის მართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწოროთ უნდა აწონილ იქმნას.

(შემდეგი იქნება)

მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელ-
მწიფოთათვის

დიდი ბრიტანია ანუ ინგლისი. — ევროპის დასავლეთის მხარეს მდებარეობს ორი კუნძული, რომელნიც ატლანტიის ოკეანეში უდიდესი არიან და რომელთაც უწოდებენ დიდ-ბრიტანიას. ამ ქვეყანას უწერია სამი სამეფო: ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია. ეს სამივე შეერთებულ არიან ერთის სკიპტროს ქვეშ, ამიტომაც დიდ ბრიტანიის გარდა ზოგჯერ შეერთებულ სამეფოთაც იხსენიებენ, მაგრამ უფრო ხშირათ კი — ინგლისს უწოდებენ.

დიდ ბრიტანიის ორივე კუნძულს ერთად ექვს ათასამდე ოთხ-კუთხე მილი ხმელეთი უჭირავს და ამ ადგილზე ოცდა თორმეტ მილიონამდე მცხოვრებია დასახლებული.

გვარ-ტომობით დიდ-ბრიტანიის ხალხი ან-გლო-საქსონის ტომისაა რომელიც ენათესავება გერმანიელთა ტომსა. ინგლისური ენა წარმოსდგა ძველებურ-გერმანიელების ენიდან, ხოლო დროთა მიმდინარეობით შეიცვალა და მრავალნი ფრანციელი სიტყვანი შეიმატა და შეითვისა.

დიდ-ბრიტანიის ხალხი განიყოფება სამს ნაწილად: ინგლისნი — ოცდა სამი მილიონია, შოტლანდიელინი — სამი მილიონი და ირლანდიელინი — ხუთ მილიონ-ნახევარი. — სახელმწიფო სარწმუნოებათ ანგლიკანის სარწმუნოებაა აღიარებული. ეს სარწმუნოება, რომელიც თავისის დოქმატებით ლიუტერის და კათოლიკეთა სარწმუნოების შუა ადგილი უჭირავს, გავრცელებულია ერთობ ინგლისში და 18 მილიონ-ნახევარ სულსა სწამს; შოტლანდიაში ჰრესბიტერიანის სარწმუნოებისა ითვლება შვიდ-მილიონ-ნახევარი სული და ირლანდიაში კი თითქმის ევლანი კათოლიკენი არიან.

თუმცა დიდ-ბრიტანიის კუნძულნი ბუნებით ღარიბნი არიან, მაგრამ არც ერთს ხალხს დედა-მიწისას დღევანდლამდე არ მიუღწევნია ინგლისის ხალხის სიმდიდრემდე. მიწით ღარიბმა, გარშემო ზღვით დაშვებულმა, ნისლით და ბურუსით მზის შუქს მოკლებულმა, მაგრამ გონიერმა, მხნემ და თავისუფალმა ხალხმა მოლოდ თავისის შრომით და გამბედაობით შეიძინა უთვალავი სიმდიდრე,

უზირატესი ადგილი დაიჭირა სხვა ევროპის სახელმწიფოთა შორის, ხელთ იგდო და დაიმორჩილა თავალ-უწვდენელი მიწანი აზიას, ამერიკას, აფრიკას და ავსტრალიაში, ასე რომ დიდ-ბრიტანიის გარედ ასს მილიონზედ ბევრად მეტი ქვეშევრდომი ჰყავს, მთელი ინდოსტანი თითქმის ხელთ უჭერია. ღარიბი მიწა ინგლისის ხალხის მხნეობამ ნაყოფიერ სახვან-სათესად და მინდვრებად გადააქცია. იშვიათად მოიპოება ევროპაში უკეთესად შემუშავებული მიწა და ინგლისის ჰირუტყვთ მოძენება ხომ სამაგალითთაა. ამის გარდა ინგლისელებმა მოი-პოვეს ულეველი სიმდიდრე დედა-მიწის გულში: ქვანახშირი, რკინა და სხვა მადნეულობა მრავალი აქვს. გარშემორტყმული ზღვა-ოკეანე ინგლისის ერთობის და დამოუკიდებლობის ზღუდეთ შეიქმნა მტრისა წინაშე, ხოლო თვით ინგლისმა კი ეს ზღვა თავისის აღებ-მიცემობის და მფლობელობის შანს გზათ გამოიყვანა.

ინგლისის ძლიერება და კეთილ-დღეობა, მისი ჭკუითი და სწეობითი ძალა — ეველა ეს ინგლისელთა თავისუფლების შედეგი და ნაყოფია. თავისუფლების სიყვარული, თვით-მმართველობის (self government) ჩვეულობა, — აი ინგლისის სახელმწიფოს მტკიცე დედა-ბოძი. ამ დედა-ბოძზედ დადგენილი სახელმწიფო წეობა თვითვეულს ინგლისელს სრულსა და ხელშეუვალს ღონისძიებას აძლევს თავისი თვით-მოქმედება, მხნეობა, ნიჭი და ძალა მოიხმაროს თავისის მიდრეკილობის დაგვარად. ესე ადამიანის კეთილ-დღეობისთვის აუცილებელი საჭიროებანი, ხალხისთვის მინიჭებულინი, ხალხს ბედნიერების გზას უხსნიან და ხელს უწეობენ.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ინგლისის სახელმწიფოსა აქვს თავისი ტკივილიცა.

რასაკვირველია თვითვეულთა ინგლისელთა სიმდიდრე ერთად აღებული მთელის ინგლისის სიმდიდრეა, ხოლო ერთობ ხალხის კეთილ დღეობისათვის ეგ სამეოფი არ არის. საქმე იმაშია თუ როგორ არის ეს სიმდიდრე საყოველთაოდ განწილადებული. შეიძლება ხალხის სიმდიდრე ერთობ მცირე იყოს, მაგრამ კაცთაშორის ცოტად თუ ბევრად თანასწორად იყოს გაყოფილი, ასე რომ თვითვეულს კაცს თავისი საკმარისი ჰქონდეს. შეიძლება კიდევაც სიმდიდრე დიდი იყოს და თანასწორად არ იყოს განწილადებული, ასე რომ ერთს უხვად ჰქონდეს და მეორე სრულად ხელ-ცარიელი იყოს. ეს უკანასკნელი მაგალითი ე. ი. სიმდიდრის უთანასწოროდ განაწილება, ღარიბთა და მდიდართა შორის რისხვისა, შფოთის, მტრობისა და შურის დამბადი, ინგლისში უფროა, ვიდრე სხვაგან სადმე. ეს არის ის ტკივილი, ის სენი, რომელიც

ინგლისის კეთილ-დღეობას მუქარას უწევს. ამ უთანასწორობის გამო ინგლისში ერთის მხრით უთვალავი სიმდიდრე და ქონებაა მოძრავი თუ უძრავი და ამისაგან წარმომდგარი განათლება, დიდება და ძალა; მეორეს მხრით საშინელი სიღარიბეა და მისგან წარმომდგარი უმეცრება, გარყვნილება და ბიწიერება! — გონიერნი და გამბედავნი ინგლისელები კარგათა ჰგონობენ ამ საშინელს ტკივილსა, კარგათა ხედვენ რაც შეუდგება ამ სენსა და ეოველს მცნადინებობას ხმარობენ მოიპოვონ რაიმე სასხარი, რათა მოიხპოს ეს საზოგადო საშიშარი სხეულება, რადგანაც წინადვე ცნობილი აქვს, რომ ამ სხეულების აცილებაზედ დამოკიდებულია ინგლისის შინაგანი გამძლეობა, მშვიდობა დაბედი.

ეს აუარებელი სიმდიდრე ერთის მხრით და დაუჯერებელი სიღატაკე მეორეს მხრით ინგლისში იქიდან წარმოსდგა, რომ მთელი ინგლისის მიწა ხალხის მცირე ნაწილმა გაისაკუთრა და უძრავი უკუაგობა, ესე იგი, გლეხობა კი უძამულოდ დარჩა. სოფლად ცნობილების სასხარს მოკლებული უძამულო მუშა ხალხი დიდ-ქალაქებში შეგროვდა ლუკმა ჰურის მოსაპოვებლად და ის გულსაკედავი, საშინელი სიღატაკე მთელის თავისის სასოწარკვეთილებით და ჯოჯოხეთით ამ მუშა ხალხს დააწვა. ეს მუშა-ხალხი დიდ-ქალაქებში მოგროვილნი ქარხანებში მუშაობისათვის იბრძვიან, რომ ამით მაინც როგორმე მოიპოვონ ლუკმა ჰური. ზოგჯერ ამ სამუშაოსაც ვერ მოულობენ.

არც ერთი ქვეყანა არ შეედრება ინგლისს ხელისუფლებისა და სარეწარმობაში, — მთელი ხმელეთის ხალხი ინგლისის მუშტარია. რასაკვირველია დიდძალს წარმოებას ბევრი მუშა-კაციც უნდა, *) მაგრამ ის მასალა, რომლის შემუშავებისთვისაც მუშა-კაცია ქარხანაში საჭირო, ის მასალა თვით ინგლისს თავისი არა ჰყოფნის და იძულებულია სხვა ქვეყნებიდან შემოხიდოს. წარმოიდგინეთ ახლა რომ ომისა, მოუსავლობისა ანუ კიდევ სხვა შემთხვევის გამო, ეს სამუშაო მასალა ინგლისს მოაკლდა, ანუ ვერ შემოხიდა, — ცხადია რომ მასალა მოკლებული ქარხანა დადგება და ქარხნის მუშა ხალხი უსაქმოდ დარჩება და მასმასალაზე უჭუროდან. ეს მოხდა მაგალითებურ, 1865 წელს, ამერიკის ომის დროს, როდესაც ამერიკაში ბამბის მოსავალი ძალიან ნაკლებათ მოვიდა, და ამისგან გამო ინგლისში მრავალი ქარხანა დადგა.**)

*) მარქო ბამბულობის კეთებას ერთ მლითხმდე მუშა ხალხი უნდა.
 **) ინგლისის მუშა ხალხის ბევრ კაცს სხვა მიხედავს უნდათავე გზას, და ამის თათბარზე ბევრი რამ შესანიშნავი თქმულია და დაწერილია, ხალხი ამ საგანზე მკვლე საუბარო ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლიან, რადგანაც ამ წიგნის ამის გარდა კიდევ სხვა დანაწილებულია აქვს.

ხალხის სიღარიბის აცილებისათვის ინგლისში დიდი ხანია მოიპოვა ერთი ძლიერი საშუალება — უცხო ქვეყნებში გადასახლება, სადა მიწა უფრო მსუქანია და ბუნება უხვი. ამ გზარ მამულის დატოვებას და სხვა ქვეყანაში გადასახლებას ჰქვიან კოლონიზაცია. ეოველ წლივ დიდ-ძალი ხალხი გადის ინგლისიდან სხვა და სხვა ქვეყნებში, იკეთებს ბინას და სადგურს, იმენებს კოლონიებს ველურს ხალხთა შორის აფრიკას, ამერიკას, ავსტრალიას და აზიაში, და ამგვარად ინგლისის მფლობელობას და ადებ-მიცემობას უკან უხსნის და ავრცელებს. ესრედ დაიწყო და დაარსდა მე-XVII საუკუნეს ამერიკის კოლონია, რომელიც მე-XVIII საუკუნეს გამრავლებული და გამდიდრებული, განთავისუფლდა ინგლისის ქვეშევრდომობისგან და დაამყარა სახელმწიფო, ამერიკის შეერთებულ შტატებთან წოდებული. ინგლისის ჭეშმარიტი ძლიერება და სიმდიდრე უფრო კალონიებზედ არის დამყარებული. დედა-მიწის ზურგზე მოფენილი ეს კოლონიები უკუზავნიან ინგლისს სამუშაო მასალას და ამ მასალას, ინგლისის ქარხანებში სავაჭრო საქონლად გარდაკეთებულსა, თვითვე კოლონიები ეიდულობენ და ამით ავრცელებენ ინგლისის ვაჭრობას და გავლენას.

ამ კალონიების მეოხებით ინგლისს, რაც თვითონ დიდი-ბრიტანია არის, იმაზედ ორმოცდა შვიდმეტჯერ მეტი ადგილი უჭერია ქვეყანაზედ და რაც თვითონ ხალხი ჰქავს დიდ-ბრიტანიაში იმაზედ ექვსჯერ მეტი ქვეშევრდომი კალონიებში უსახლია.

უცხო ქვეყნებთან და კოლონიებთან ადებ-მიცემობისთვის ინგლისი ოცდა შვიდმეტე ათასს ხომალდს და ცეცხლის გემს სხვა და სხვა ზღვებში ამუშავებს და ამ ხომალდზე ორას ათასამდე მენავე ჰქავს. 1875 წ. ინგლისში ორი ათას ხუთას მილიონ მანეთის საქონელი შემოხიდულა და ორი ათას მილიონ მანეთსა გატანილა.

სახელმწიფო შემოსავალი ოთხი ათას სამოცდა ორი მილიონი მანეთი აქვს, გასავალი — ამაზედ ცოტა ნაკლებ. — სახელმწიფო ვალი — ხუთი ათას რვაას მილიონ მანეთითა.

ინგლისის ჯარში შესული ჯარის-კაცი ვალდებულია ექვსი წელიწადი მომქმედ ლაშქარში იმსახუროს და ექვსიც რეზერვში. თუ ჯარის კაცი ამას გარდა ათს წელიწადს კიდევ იმსახურებს, სამუდამოდ ჯამაგირს (პენსია) მოიპოვებს. ინგლისის ჯარში ირიცხება ექვსას ათასზედ მეტი მხედარი და სახელმწიფოს ეს ლაშქარი ეოველ წლივ ორას მილიონამდე მანეთი უჯდება. სამხედრო ხომალდი ორას ორმოცდა თორმეტიას.

ენლანდელი ინგლისის დედოფალი ვიქტორია I ინგლისის, შოტლანდიის კოროლათაც სახელწოდებულია და ინდოეთის იმპერატორათაცა. თუმცა ეველა კანონდებულება და განკარგულება კოროლის სახელით გამოიწხადების და კოროლის მიერ უნდა იყოს დამტკიცებული, მაგრამ ნამდვილად სახელმწიფოს მმართვეა ჰარლამენტისა *) და მინისტრთა კრების (კაბინეტი) ხელშია.

კანონდებლობითი უფლება ეკუთვნის ორს ჰალატს, რომელთაც ერთად უწოდებენ ჰარლამენტს, ხოლო ჰარლამენტის განახლების აღმასრულებლად მინისტრთა კრებაა, რომელსაც მინისტრთა კაბინეტი ჰქვია.

დიდ-ბრიტანიის ჰარლამენტი განიყოფება ორს ჰალატად: დიდებულთა ანუ ლორდთა ჰალატი და ხალხის წარმომადგენელთა ანუ დეპუტატთა ჰალატი. *) ლორდთა ჰალატს შეადგენენ ინგლისის კეთილშობილთა გვართა მოთავენი (ეს უფლება ლორდებს სამუდამოდ აქვთ მინიჭებული და მამიდამ შვილსაც გადადის), ჰირნი დანიშნულნი კოროლის მიერ, ეპისკოპოსნი, ირლანდიის ლორდნი (29 წევრი) და შოტლანდიის ლორდნი (16 წევრი) სულ – 478 წევრია. დეპუტატთა ჰალატში სხედან ხალხის წარმომადგენელნი შვიდი წლის ვადით ამორჩეულნი. ამ ჰალატში საკუთრად ინგლისის დეპუტატი ოთხას ოთხმოცდაცამეტი (493), შოტლანდიისა სამოცი, და ირლანდიის ას ხუთი, სულ ჰალატში ექვსას ორმოცდაცამეტი წევრია. ამა რიცხვებიდამ ცხადად სჩანს რომ ორივე ჰალატში წევრთა სიმრავლე ინგლისის მხრივ არის. დეპუტატის ამორჩევის უფლება ეველა დიდ-ბრიტანიის ქვეშევრდომს არა აქვს. მოქალაქეთა მამინ აქვთ არჩევანის უფლება, თუ ქალაქის ადგილას ერთი წელიწადი მაინც უცხოვრია, სახლი ჰსჭერია ამ ხანის განმავლობაში, ან საკუთარი ან ქირით, წელიწადში შვიდ თუმნიანსედ არა ნაკლებ და სახლის დაწესებული ხარჯი უხდია. თუ სოფლად მცხოვრებია, მას უნდა ჰქონდეს ან საკუთარი უძრავი ქონება, ან იჯარით აღებული სამოციას წლის ვადაზედ არა ნაკლებ, და ამ საკუთარს თუ იჯარით აღებულს მამულს უნდა შემოსდიოდეს, სახელწიფო გარდასახადისა და ხარჯის გარდა, ოცდა შვიდმეტი მანეთი მაინცა ეოველ წლივ. აქედამა სჩანს რომ ღარიბი ხალხი ინგლისში არჩევანის უფლებას მოკლებულია, რომ მათ თვისის სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობა არა აქვთ. 1872 წლამდე კენჭის ურ დაფარული არ იყო, მას შემდეგ კი, ახლად დადგენილის კანონის ძალით,

დაფარულია. ეოველი ქვეშევრდომი დიდ-ბრიტანიის ოცდა ერთის წლისა შესრულდება თუ არა, შეიძლება დეპუტატად ამორჩეულ იქმნას, მხოლოდ აკრძალულია ამორჩევა მღვდლისა და ფინანსთ სამინისტროს მოთანამდე პირთა. ჰარლამენტის წევრი კანონის წინაშე ხელშეუხებელია, არავის შეუძლიან მისი დატუსაღება, თუ არ ჰარლამენტის ნება-რთვითა, არა დეპუტატი არვის წინაშე ჰასუსის მგებელი არ არის მასზედ, რასაც წარმოსთქვამს ჰალატში. ეოველს წევრს ლორდთა ჰალატისა უფლება აქვს პირდაპირ მოახსენოს კოროლს თავისი აზრი, ხოლო დეპუტატთა ჰალატის წევრს ეგ უფლება არა აქვს, მას შეუძლიან მიჰმართოს ხელმწიფეს მხოლოდ თავისის პრეზიდენტის პირით და შუამდგომლობით. თუმცა ჰარლამენტების შეერა და დათხოვნა კოროლის ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ კოროლი ვალდებულია შვიდ წელიწადს ერთხელ მაინც უსათუოდ შეჰკრიფოს ორივე ჰალატი. ჰარლამენტი ირჩევს ხუთს მინისტრს, რომელთაც მიანდობს თავისს განახლების აღსრულებას და რომელნიც ჰასუსის მგებელნი არიან ჰარლამენტის წინაშე. ეს მინისტრები და ხუთი კიდევ სხვა კოროლის მიერ დანიშნულნი შეადგენენ უმადლეს მთავრობითსა კრებას, რომელსაც მინისტრთა კაბინეტი ჰქვია. თუ ჰალატის უმრავლესობა დაუწუნებს სამინისტროს რომელსამეწინა-დადებას ანუ საქციელს და ამით თვის უკმაყოფილებას გამოაცხადებს, მაშინ სამინისტრო იძულებულია თანამდებობიდან გადადგეს და ახალს სამინისტროს დაუთმოს თვისი ადგილი.

ჰარლამენტს აქვს უფლება: ახალნი კანონნი დააწესოს, ან უწინდელნი შეჰსცვალოს, სრულადან გააუქმოს ეოველგვარის საქმეების შესახებ, საერო იქნება, თუ სასულიერო თუ სამხედრო. ეოველ ჰარლამენტის წევრს, ლორდთა თუ დეპუტატთა ჰალატისას და თვით კოროლს აქვს უფლება რაიმე კანონის ანუ განკარგულების წინადადება შეიტანოს ჰარლამენტში. ეოველივე წინადადება ჯერ უსათუოდ დეპუტატთა ჰალატში უნდა შეიტანონ. ჰალატში შემოტანილი წინადადება სამჯერ უნდა წაკითხულ იქმნას. პირველის წაკითხვის შემდეგ წინადადებას ჰბეჭდვენ და ჰალატის წევრთ ურიგებენ. მას შემდეგ მეორედ კითხულობენ და ამ მეორედ წაკითხვაზედ ბანასა და სჯას გამართავენ: თუ ჰალატი საჭიროდ დაინახავს, ნიშნავს კომისიას წინადადების უფრო დაახლოვებით და დაწვრილებით გარჩევისთვის. როცა კამისია შეასრულებს თვისდა მინდობილს საქმეს, მაშინ წინადადებას მესამედ კითხულობენ ჰალატის წინაშე და ბანასი და ბჭობის შემდეგ წინადადებას

*) ჰარლამენტი, Parliament, ქართულად საბაასო, საჭოს ნიშნავს.

*) ლორდთა ჰალატს ეძევი ხენა-ჰალატს უწოდებენ და დეპუტატთა ჰალატს ქვენა ჰალატსა

ან მიიღებენ ან უარ-ჰყოფენ. დეპუტატთა ზალატში მიღებულს წინადადებას ჯერ მაინც კანონის ძალა არა აქვს ვიდრე ლორთა-ზალატიც არ მიიღებს. ორივე ზალატით მიღებული წინადადება კოროლს უნდა წარედგინონ დასამტკიცებლად და მხოლოდ კოროლის დამტკიცების შემდეგ წინადადებას კანონის ძალა მიენიჭება. მართალია თუმცა კოროლს აქვს უფლება ზარღამენტის წინადადება არ დაამტკიცოს, მაგრამ ეს მეორე საუკუნეა რაც ამისთანა შემთხვევა დიდ-ბრიტანიაში არ მომხდარა. კოროლს კარგად ესმის რომ ხალხთა წარმომადგენლობის წინააღმდეგობა ამათა და თავის თავს ნებს ან ამღევს რომ რომელიმე მისი წინადადება უარ-ჰყოს.

ზარღამენტი ამისთანავე უმაღლესი სამსჯავროა, დიდ ბრიტანიის სახელმწიფოსა. კოროლს შეუძლიან მისგან დასჯილს ზირს მსჯავრი ანატიოს და ახსნას, მხოლოდ ამაშია კი ზარღამენტს უნდა დაეკითხოს.

ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

IV *)

(ღამეა. ახწერი დაკეტილ კარს აკაკუნებს)
 (შინიღამ) ვინ არის?
 — გააღეთ. ამწერლები ვართ.
 — ვინ ამწერლები?
 — გააღეთ და მოგახსენებთ.
 (შინ კარებთან ჩოჩქოლია)
 — ვინ ამწერლები ხართ? არ გიცნობთ.
 — გაგვიღეთ, და მოგახსენებთ.
 — კაი კაცები იყოთ, ღამე არ ივლით. დაი-კარგეთ საიდამაც მოთრეულხართ, თქვე ძაღლო, ძაღლის გვერდებო!
 — მთავრობის დანიშნული კაცები ვართ, ყველა სახლი უნდა ავწეროთ.
 — მთავრობას ჩვენთან რა საქმე აქვს? ვალი არა ვისი გვმართებს და ხარჯი შეგვიტანია. გასწით დაიკარგენით! ქურდ-ბაცაცობაზე დადიხართ, ახლა ეგ მოგიგონიათ?
 — გაგვიღეთ კარი! გეუბნებით, პატიოსანი კაცები ვართ, თორემ პოლიციას მოვიყვანთ.
 (ჩოჩქოლი და წივილია) ვუი დამიდგა თვალში.
 — ნულარ გვაყენებთ. გაგვიღეთ, თორემ აღარ

მოვიცდით.
 (აღებენ კარს. ერთს დედა-კაცს გული მისდის)
 — ვინა ხართ, თქვე ღვთის მტერებო, რა გინდათ?
 — ბატონო, ნუ სწუხართ, გული მოიბრუნეთ. ერთ წამზე გავალთ, არაფერს დაგაკლებთ; ქრისტიანი აღამიანები ვართ.
 — ვუი გული... წყალი... მიშველეთ! ეს რა ამბავია ჩვენთავს!
 — გული მოიბრუნე ქალოჯან, ჩემო რძალო! დალიე წყალი, პირი გააღე, რა დაგემართა! ქურდები არ არიან, ჩინოვნიკები არიან.
 — ბატონო, ნუ სწუხართ, თქვენ შესაწუხებლათ არ მოვსულვართ, ჩალის ოდენა ამ სახლს არაფერი არ დააკლდება.
 — ვიშ! მე კი გული გამიხეთქეთ და!
 (შემოდის ოჯახის პატრონი) — რა ამბავია? რა ამბავია ჩვენ თავსა? ეს ვინ არიან აქა?
 — ვიშ, შვილო. აი შენ ცოლს გული წაუვიდა. ეს ვიღაებიც მოვიდნენ, ჩაგვიდგნენ კარებში, პოლიციას მოვიყვანთო, დასწყევლა ამათი თავი.
 — ქალოჯან, დედა-კაცო, გული მოიბრუნე. —
 — კარგათა ვარ, ეხლა გული მომიბრუნდა. ერთი მითხარით, ეს ვინ არიან?
 — ერთი მიბძანეთ თქვენ ვინა ხართ, ღამე სახლში მოვარდებით, ჰა?
 — ჩვენ დანიშნულები ვართ, რომ ავწეროთ ქალაქის ყველა სახლები და ყველა ხალხი.
 — აი კამერალიას რომა მობოზენ რაღასაცა?
 — ჰო, ის გახლავს.
 — ძალიან კარგი და პატიოსანი. მაგრამ, განა ეგრეც არის, რომ დედა-კაცებთან ღამე სახლში მივიდნენ?
 — დიახ, ესეც გახლამს.
 — მაგრე მაშა? ახლა ეს ჩემი ცოლი რომ, უკაცრავათ არ ვიყო, ფეხ მძიმეთ ყოფილიყო და ერთი რამე მოსვლოდა, პასუხის გამცემი ვინ იქნებოდა?
 (ცოლი ტირის)
 — აი თქვენი კი... კი... ახ, რა ვთქვა! დაყუჩდი დედა-კაცოჯან; ფიქრი ნუ გაქვს.
 — არა, პოლიციაო! გული გამიხეთქეს და!
 — ახლა ბძანეთ, რა გნებავთ ჩემგან?
 — თქვენი სახელი, გვარი და ხელობა.

– გიორგი სიმონასძე ხანჯალოვი; მკერვალი ვარ.

– რამდენი წლისა ხართ?

– რამდენისა ვარ? ჰა? რამდენისა? მოითმინე, ჩემ ცოლს უნდა ახსომდეს. ეი ჩემო დედა-კაცო, მე რამდენი წლისა უნდა ვიყო; ერთხელ რომ ვიანგარიშეთ, არ გახსომს?

– არა, მე არ მახსომს, იქნება დედას ახსომდეს.

– კარგა კი არ მახსომს, მაგრამ ისე ანგარიშით კი ეხლავე შეიტყობთ. ჩემო რძალო, ჩვენი მღვდელი რომოკვდა რამდენი წელიწადია.

– რომელი მღვდელი?

– აი ქა, რამ დამავიწყა, ათანასე მღვდელი.

– ათანასე მღვდელი აგერ რვა-ცხრა წელიწადი იქნება.

– ის იტყოდა, რომ ჩემი ქორწილის წელიწადს დაიბადაო, და მე რომ ცოლი შევირთე, ოცდა-ხუთი წლისა ვიყავიო.

– აბა ახლა დედი, რომელ წელს დაბადებულა?

– ეგ არ ვიცი.

– არა; რამდენი წლისა იყო რომოკვდა?

– ვერც მაგას მოგახსენებთ. ეს კი მახსომს იტყოდა, ყენობის უკან, – აღარ მახსოვს, ცხონებული როგორ იტყოდა, – ესე სამ-ოთხი წელიწადს გაუვლია, რომ მე დავბადებულვარო.

– ბატონო, მე რა ვიცი. ყენი როდის მოსულა?

– ქა, ნასწავლ კაცსა გავხარ, ასე მგონია ყველა იცი მეთქი. თუ კი პოლიციის მოყვანა შეგიძლია, მაგას კი ვერ იკითხამ პოლიციაში? იქ ეცოდინებათ.

– ეჰ, როგორცა ვხედავ, სჯობს ყენობასა და პოლიციას თავი დავანებოთ. ისე, ვარაუდით, რამდენი წლისა იყო?

– აკი მოგახსენეთ, სწორე ანგარიში თუ გნებავთ, ეს იყო; და თუ ნასწავლი ბძანდებით, ჩოტკი ჩააგდეთ და გაიგებთ.

– ეჰ, შე დალოცვილო! მოკლეთა თქვით და გაათავეთ.

– ასე ვიქნები... ჰა, დედი? ოროცდა ათისა, არა? მგონია, მეტისა არ ვიყო.

– არა, შვილო. არც კი იქნები.

– რამდენი შვილი გყავთ?

– ოთხი შვილი მყავს, ოთხიც მომიკვდა სულ რვა შვილი მყოლია, რაც ჯვარი დამიწერია.

ჯინშიანი გვარია ჩვენი გვარი, სხვებსავით ღორის ჯინშს კი არა გავს, წელიწადს რომ არ ააცდენენ.

– რამდენი წლისანი არიან?

– ეგ კი დედა ჩემმა კარგა ნამდვილათ იცის. აბა დედი შენც თქვი.

– აბა ბძანეთ, გახსომთ ამათი დაბადება!

– მახსომს, შვილო. როგორ არ მახსომს. თითო კოჭობი და ლობიო ხომ არ გაწყვეტილა.

– არა, ბატონო! მე ყმაწვილობის წლოვანობასა გკითხავთ. ლობიოსა და კოჭობს აქ რა საქმე აქვს?

– მოითმინე და გაჩვენებ. (გადის და კოჭბები მოაქვს).

– აი ამ კოჭობში მეტი ლობიოა, ეს უფროსისაა, აბა დავთვალთ: ერთი, ორი, შვიდი, ათი, თვრამეტი, ცხრამეტი... ცხრამეტის წლისაა. აი მეორეც დავთვალთ: ერთი, ხუთი, ცამეტი, ცამეტისაა. ახლა მესამე ეს ცხრისაა; მეოთხე ოთხისა. კარგა მოგახსენეთ ხომა?

– კარგი მოგონებაა. ახლა რამდენი შვილიცა გყოლიათ, თითოსთვის აგრე კოჭბები გავიმართავთ?

– ყველა შვილებისთვისა, მაშ როგორ უნდა? დადგება ახალ წელიწადი და თითო კოჭობში თითო ლობიოს ჩავაგდებ.

– თაგვმა რომ შესჭამოს, რაღას იზამთ?

– ქა, იქნება მართლა! ხან და ხან რომ პირლია ვაგდებთ! ეგ კარგა მამაგონეთ, ახლა სიპის ქვას დავხურომთ.

– დედი, თქვენ რამდენი წლისა ბძანდებით?

– იჰ, კარგია, დედა-შვილობას, ხუმრობა!

– არა, ბატონო, უნდა ჩავწეროთ.

– რა ჩასაწერი ვარ, დედა-შვილობას? ვის რათ უნდივარ?

– არა, მაიც საჭიროა.

– რა მახსომს, რამდენი წლისა ვარ? ამდენი ვაი ვაგლახი მინახამს, რომ თავში აღარაფერი დამრჩენია. ასეთი დღეები გამომივლია, რომ დიდ მარხვაში ორჯელ ზეთის ხილი არ მიჭამია და თუ მიჭამია თითოსთვის შვიდჯერ მაინც მიკბენია.

– სამოც-და-ათის წლისა ხომ იქნებით?

– არა, დედა-შვილობამ. ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო – სამოცისა.

– მაშ, თქვენ შვილზე ათის წლით დიდი

ყოფილხართ?

– იქნება არც კი ვიყო! ცხრა წლისა ვიქნებოდით, რომ ჯვარი დამწერეს.

– მაშ ათის წლისას შვილი მოგცემიათ! ეს როგორ შეიძლება?

– დედა-შვილობამ, აქ ერთი მეზობელი გვყვანდა, ასე იტყოდა, შვიდის წლისა ვიყავი რომ პირველი შვილი მამეცაო. დედა და შვილი ტიქნებს ვთამაშობდითო. რატო არ შეიძლება?

– რა გვარი ხართ?

– აკი მოგახსენეთ. ხანჯალაანი.

– არა მაგას არა გკითხამთ...

– ძველი გვარია, დედაშვილობამა! ჩემი დედამთილისაგან გამიგონია, ჯერ ნარიყალის ციხე არა ყოფილა აშენებული, რომ ჩვენი გვარი ქალაქში ყოფილა. ხომ გაგიგონიათ თამარ დედოფალი, წმინდანი ყოფილა; იმის წინათ ჩვენი გვარი ქალაქში მკვიდრ მოქალაქეთ ხსენებულა.

– არა ბატონო, მაგას კი არა გკითხავთ, იმასა გკითხავთ, რა მიღეთის კაცი ხართ, სომხის სისხლისა, თუ ქართველისა?

– ჰო, ეგრე ბძანეთ! სომხისაც არის ჩვენს სისხლში, ქართველისაც, თათრისაც.

– როგორ?

– აი ასე, რომ სარკინეთის ქვეყნიდამ თუ ბაღდადის ქალაქიდან ქალაქში არაბები ყოფილან ერთხელა. ერთი ჩვენი გვარისაც...

– ეჰ, დედა ჩემო, თათრები ყოფილან.

– არა, დედაშვილობამ. აბა შენთვის რამდენ ჯერ მითქვამს, რომ მამაპაპის ოჯახის ამბავი კარგა უნდა იცოდე. არაბიც კი თათარია, მაგრამ სულ სხვა თათარია. თათარიც არის თათარცა: ყიზილბაშსაც თათარი ჰქვიან და ოსმალოსაცა, სულ ხომ ერთი არ არის? არაბები სახით შავები არიან, განა არ გინახამს.

– მერე ჩვენ რატო შავები აღარა ვართ?

– ეჰ, დამაცა შვილო და, არაბები ყოფილან, მერე ქალაქის თათარი შეუერთამთ, თათრათა ყოფილან, ხან ყიზილბაშის თათრის ქალები ჰყოლიათ, ხან ოსმალოს თათრისა; აი ამ ნიშნით თათრები ყოფილან, რომ დროშკის მეიდანთან, ჯვარი-მამის ზემოთ რომ ძველი პურის მაღაზია იყო, ის მეჩითი ყოფილა და იქ უფლიათ. მერე სომხობა მიუღიათ, ბევრ თაობას გაუვლია. ახლა,

მერმე ქართველათ მონათლულან და ქართველის ქალები ჰყოლიათ. ასე გამიგონია, რომ ჩვენ გვარში რძლათ ორი ბერძნის ქალიცა ყოფილა. აბა ახლა ბძანეთ, როგორ მოგახსენო, რომელი სისხლია?

– მაინც რა ენითა ლაპარაკობთ?

– აი ხომ გელაპარაკებით ქართულათ. ეს პატარა აგერ ოთხისა არის და ჯერ ლაპარაკი არ იცის. თქვენ ნასწავლი ხართ და იქნება წამალი რამე იცოდეთ?

– არა ბატონო, ექიმი ნახეთ.

– ვნახეთ, ჩვენ მეზობლათა დგას. კაი ბებიო-ბაც იცის და კარგი მკითხავიც არის.

– არა ბატონო, ნასწავლი ექიმი უნდა ნახოთ.

– თქვენმა მშემ კარგი ნასწავლიც არის და ასეთია მაგისი კარი, თითქოს ხატის კარი იყოსო, იმოდენა ხალხი დაიარება. ეს გამოცდილი და უებარი რამ მასწავლა, რომ ბაგრატიონის გვარის გაჟკაცს სამი სილა შემეაკრევინეო და მაშინვე ენას აიდგამსო. ბევრს უცდიათ და სხვებისგანაც გამიგონია. მუხრანს უნდა წავსულიყავით ბაგრატიონების გვარნი იქ არიანო მაგრამ შორს არის და გზის შიშცა გვაქვს. ბაგრატიონის გვარისა ხომ არავინ გეცოდინებათ ქალაქში, ეგება მიგვასწავლოთ.

– აბა ეგ რა ჩემი საქმეა? რამდენი ოთახია?

– რამდენია შვილო? აი ეს ერთი და ისიც ერთი ოთახი. ერთი დრო გვქონია ჩვენც, გვერდებზე ბევრი სახლ-სათორნე და საკუჭნაოცა შენებულა. ჩემი მამამთილის პაპის დროს აი ამ დარბაზში მეფე შანავაზი ბძანებულა. ჩემი მამამთილის პაპა პირველი მეზარ-ნიშნე ყოფილა და დასახედათ მოსულა, თურმე მეფის ხმალს ზარნიშანს უკეთებდა.

– სარდაფი არა აქვს?

– გახლამს. მობძანდებით? ასეთი სარდაფებია, რომ სარდაფში სარდაფებია და ქუჩის იქით პირ-და-პირ სახლქვეშ გადის. იმ ადგილსაც, რაც ზემოთ სახლებია, ვდავობთ. გეთაყვა ესეც ჩასწერეთ, სასამართლოში წაიკითხოთ.

– აი ჯან დელიჯან! რა კარგა მოიფიქრე.

ანჩისხატისუბნელი

გაზეთებილამ ამოკრფილი აზვები.

გაზეთების სიტყვით: რუსეთში ხმა გავარდაო, რომ აწინდელის სახელმწიფო ხარჯის მსდელთა გარდა სხვა წოდებანიც მოაწვევიანო სახელმწიფო ხარჯის გამოსაღებათაო; რომ ამაზედ საქმე კიდევ გადაწვეტილიაო და ამის აღსრულებაში მოუვანა ჯერ ხანობით გადადვითო, ამბობენ, რომ ამითი ათი მილიონის შემოსავლის იმედიაო.

17 იანვარს ოდესაში დანიშნულ იყო განსასიღლად იქაურს საადგილ-მამულა ბანკისაგან ასი ადგილი-მამულიო. სასიღლად თუძცა სამოცი კაცი გამოცხადდაო, მაგრამ მათში ერთის მეტი ფასის მძლეველი არ აღმოჩენილა და ამის გამო არც ერთი მამული არ გაუიდულა. 21 იანვარს კიდევ ხელ შეორედ დაუნიშნავთ გასიღვა და ერთის მამულის მეტი არ გაუიდულა.

სახალხო განათლებების სამინისტროს განუზრახავს ამ წლის განმავლობაში ცნობაში მოიყვანოს სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა შორის რომელს როგორი სწავლა მიუღია, რადგანაც ზოგს იმათგანს თურმე სწავლის ნიშნად დაწესებული მოწმობა არა აქვთ; გარდა ამისა განუზრახავს ეოველს ამ გვარს მასწავლებელს ვალად დაჰსდოს, რომ სამინისტროს წარუდგინოს ხოლმე ცნობა მასზედ თუ სასწავლებელში რამდენი მოწაფეა და მათი სწავლა როგორ სწარმოებს ან როგორ მიდის.

გერმანიაში დიდი ბაასი გამართულა სახელ-განთქმულის მეცნიერის ფირსოვის ახლად აღმოჩენილს საგანზედა ფირსოვი იძიებდა ბოლგარიელთა შთამომავლობას და იმ აზრზედ დადგა, რომ ბოლგარიელნი სლავიანები კი არა ფინების შთამომავალი არიანო. ეს აზრი უფრო იმაზედ დაუმარტებია, რომ კაცის თავის ქალა ბოლგარიანში ნაპოვნი, უსინჯავს და დაუნახავს რომ ბოლგარიელთა თავის ქალა არამც თუ ფინების ქალას ემსგავსება, არამედ ზანკთა (Негръ) ქალასაც და სლავიანების ქალასთან კი არა ფერს მგზავსება არა აქვსო.

ერთს რუსულ გაზეთში იწერებინან, რომ ამ ცოტას ხანში ჩაის ფასმა უნდა აიწიოს, რადგანაც რუსეთში ჩაის ვაჭრობა ინგლისელების ხელშიაო და ამათ ეისტიო ვაჭრობა რუსების ვაჭრებს მოუკვეთესო.

ერთს რუსულ გაზეთს შეუტევიან, რომ შემოსავლის კვალობაზედ სახელმწიფოში ხარჯის დადგენა და ამ ხარჯის განწერა ეოველის წოდების ზიროთა ზედა ფინანსთ სამინისტროს კიდევ გადაწვეტილიაო და ამ ცოტას ხანში გადასცემსო უმადლესს მთავრობასა განსახილველად და დასამტკიცებლადო. ენლანდელი სახელმწიფო ხარჯი სოფლისა და ქალაქის გლეხთათვის დაწესებულიო, ჯერ-ჯერობით ისევ იმ ხანით დაჩნება, როგორც აქამოდვე იყოო.

რუსეთში ქალაღდის ფული (ასიგნაცია) 1864 წელსა ეოფილა ექვსას ოცდა თექვსმეტის მილიონისა, 1876 წლის ზირველს იანვარს – შვიდას ოთხმოცდა ჩვიდმეტის მილიონისა.

ერთს გაზეთს („Новости“) შეუტევიან, რომ ოცდა ხუთ მანეთიანი ასიგნაციები ხელა ახლად გამოცვლილ იქნებიანო.

ერთს გაზეთში (Бирж. Вѣд) ჰსწერენ, რომ ჰეტერბურგის ოლქის სასამართლოში ამ დღეებში შევა ისეთი საქმე, რომელიც „ჩერნოვის ვალეტის“ საქმის მაგვარიაო. ამ საქმეში ბრალდებულნი არიან სამი კაცი და ორი ქალი, რომელნიც განათლებულს საზოგადოებას ეკუთვნიანო. მრავალ გვარის მაცდურებითა და სიცრუითა შემოსხეხებულთ ხუთს გვამს ბევრი სიუალებე მოუხდენია. მაგალითებრ: მალაზიებსა და დუქნებში სხვის სახელით უვლიათ და საქონელი ნისიად უღიათ ვითომც იმ ზიროთა მინდობილობით, რომელთაც იმ მალაზიებსა თუ დუქნებში ესტიბარს ჰქონიათ. ამისათვის ტუეილი ვექილობა მოუგონიათ. ამას გარდა თავისი გვარ-წოდება დაუტოვებიათ, სხვისა მიუღიათ და ამის შემწეობით ფული უგროვებიათ ვითომც სათხო საქმისათვის შესაწირავად.

ფრანციული გაზეთი „Agence Generale Russe“ რომელიც ჰეტერბურგში გამოდის, იწერება, რომ ამ ქამად რუსეთს დამხადებული ჰეავს 550,000 ჯარის კაცი, რომელთა შორის 270,000-ს შეუძლიანთ იმ წამსვე საომრად გავიდესო, რა წამსაც ბძანება გამოვაო.

Дозволено цензкою. Тифлис, 23 Марта 1877 г. Тирография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერის“ ხელახალი (განმეორებითი) გამოცემის პროექტისა და იდუის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგზარ ჭიანჭავაძე**

სარედაქციო ჯგუფი: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**

პროექტი: ივანია – ნარსიზი ლაზარაძე – მომავლის შესანარჩუნებ

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – ხელახალი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აპრილს

მომავალი უს „სამომავალი სახი ქართული ელითა“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com